სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

7 თებერვალი 2025 B25016467/3

გადაწყვეტილება # B25016467/3 (07/02/2025 23:46:04)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**B25016467** 07/02/2025 16:49:32 (განმცხადებელი: ზურაბ გუმბარიძე/01024037522/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს ფორმულა**
საიდენტიფიკაციო კოდი: **405345666**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.ა მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის წარმოსადგენია:

2.1 სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია. კერძოდ, წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დამოწმებული ნოტარიუსის მიერ საჯარო აქტის ფორმით.

2.2 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და დამოწმებული ა(ა)იპ თავისუფლების ფორმულას გამგეობის კრების ოქმი, ნინო ჟიჟილაშვილის მიერ შპს „ფორმულა“-ს პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

2.3 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და დამოწმებული დოკუმენტაცია (მინდობილობა და ქ. ლონდონში ნოტარიუსის მიერ გაცემული აფიდავიტი)

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია შპს „ფორმულა“-ს (ს/ნ 405345666) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია. კერძოდ, წილის ცვლილება, წილზე რეგისტრირებული აკრძალვის გაუქმება და წილზე ახალი აკრძალვის წარმოშობის რეგისტრაცია.

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „ფორმულა“-ს კაპიტალში დავით კეზერაშვილი კუთვნილ 26% წილს ყიდის ზურაბ გუმბარიძის (პ/ნ 01024037522) სასარგებლოდ.
წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დავით კეზერაშვილის სახელით ხელმოწერილია სოფიო ბრიტანჩუკის მიერ, უცხო ქვეყანაში გაცემული მინდობილობის საფუძველზე (დამოწმებული ნოტარიუსის მაიკლ რობერტ ლინდლის მიერ).

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი წილის ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის დამოწმებული ნოტარიუსის მიერ საჯარო აქტის ფორმით.

3. ამასთან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია შპს „ფორმულა“-ს პარტნიორთა კრების ოქმი, რომელსაც პარტნიორის ა(ა)იპ „თავისუფლების ფორმულა“-ს (ს/ნ 402279985) სახელით ესწრება და ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე ნინო ჟიჟილაშვილი, თუმცა რეგისტრაციის მიზნით არ არის წარმოდგენილი ორგანიზაციის გამგეობის კრების ოქმი.

ა(ა)იპ თავისუფლების ფორმულას წესდების თანახმად გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება სხვა იურიდიულ პირში ორგანიზაციის სახელით გადაწყვეტილების მიღება.

შესაბამისად არ დგინდება ნინო ჟიჟილაშვილის უფლებამოსილება, დაესწროს შპს „ფორმულა“-ს პარტნიორთა კრებას და მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

4. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დავით კეზერაშვილის მიერ გაცემულ მინდობილობის (დამოწმებული მაიკლ რობერტ ლინდლის მიერ) სანოტარო აქტის ფორმულარში და ნოტარიუსის მიერ გაცემულ აფიდავიტში (მათ შორის ქართულ ენაზე შედგენილ თარგმანში) მითითებული დავით კეზერაშვილის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის (მართვის მოწმობის) ნომერი ურთიერთშეუსაბამოა, კერძოდ მინდობილობის სანოტარო აქტის ფორმულარში დოკუმენტის ნომრად მითითებულია AH 062087, ხოლო აფიდავიტში - AH 0642087.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ დგინდება იმ დოკუმენტის ზუსტი მონაცემები რომლის საფუძველზეც განხორციელდა დავით კეზერაშვილის (პ/ნ 01015000210) ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება.

5. „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 56-ე მუხლის თანახმად, „ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებას ექვემდებარება ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული წერილობითი ფორმის როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი კერძოსამართლებრივი გარიგებები, გარდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეობით დადებული გარიგების, მინდობილობის, უცხო ქვეყანაში გაცემული მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგების, ანდერძის, სამისდღეშიო რჩენისა და საქორწინო ხელშეკრულების, აგრეთვე, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარიგებებისა, რომლებზეც მხარეთა ხელმოწერები უნდა დამოწმდეს/ დადასტურდეს მხოლოდ სანოტარო წესით“.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „თუ გარიგება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება და მისი მხარე წარმოდგენილია უცხო ქვეყანაში გაცემული მინდობილობით, გარიგება უნდა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ, საჯარო აქტის ფორმით“.

6. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1), მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.